N 511
15/05/2023

511-01-3-202305151200

სსიპ სახმელეთო ტრანპორტის სააგენტოს დირექტორს
ბატონ ლევან გამყრელიძეს
ამავე სააგენტოს დირექტორის მოადგილის
ლაშა გუნიას

მოხსენებითი ბარათი

ბატონო ლევან,

როგორც მოგეხსენებათ, მიმდინარე წლის 10-12 მაისს, ტაიექსის (TAIEX) გამოყენებით პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების რეფორმის განვითარების მიზნით, გაიმართა შეხვედრა ლიეტუვის ტრანსპორტის უსაფრთხოების ადმინისტრაციის დირექტორთან და ამავე ადმინისტრაციის დირექტორი მოადგილესთან.

შეხვედრას სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს მხრიდან ხელმძღვანელობდა სააგენტოს დირექტორის პირველი მოადგილე - ნიკოლოზ გვენეტაძე. შეხვედრას ესწრებოდნენ სსიპ - აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს - აკრედიტაციის ცენტრის და პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების ცენტრების თანამშრომლები. ამასთან, სააგენტოს მხრიდან შეხვედრაში მონაწილეობას იღებდნენ ტრანსპორტის უსაფრთხოების სამსახურის და იურიდული სამსახურის თანამშრომლები.

აღნიშნული შეხვედრის ფარგლებში, მიმდინარე წლის 10, 11 და 12 მაისს სტუმრისთვის განხორციელდა სადილით გამასპინძლება. ამასთან, 12 მაისს სტუმრებისთვის განხორციელდა ვახშმით გამასპინძლება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოგმართვათ თხოვნით დაევალოს სააგენტოს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულს, მოხსენებით ბარათზე თანდართული დოკუმენტაციის გათვალისწინებით, გადარიცხვასთან დაკავშირებული შემდგომი რეაგირების განხორციელება.

დანართი: 8 ელ. ფაილი.

პატივისცემით,
ლაშა გუნია

LEPL Land transport agency

Digitally signed by LEPL Land transport agency
Date: 2023.05.15 15:19:27 +04'00'